სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

# სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

# Master's Educational Program

## ადამიანური რესურსების მართვა
## Human Resources Management

თბილისი

2025

## პროგრამის აღწერილობა

| | |
|---|---|
| **პროგრამის სახელწოდება ქართულად და ინგლისურად** | **ადამიანური რესურსების მართვა**<br>**Human Resources Management** |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** | **აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ადამიანური რესურსების მართვაში**<br>**Executive Master of Business Administration/EMBA in Human Resources Management** |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება** | **სასწავლო კომპონენტი** - 60 ECTS, მათ შორის:<br>**სავალდებულო სასწავლო კურსები** - 40 კრედიტი<br>**არჩევითი სასწავლო კურსები** - 20 კრედიტი<br><br>**სწავლის ხანგრძლივობა** - 2 სემესტრი |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **პროგრამის ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები / კოორდინატორები** | ასოცირებული პროფესორი **ნატალია ხარაძე**<br>ასოცირებული პროფესორი **ნუგზარ პაიჭაძე** |
| **პროგრამის დაშვების წინაპირობა:** | ➢ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს:<br>✓ **ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;**<br>✓ **პროფესიული გამოცდილება ბიზნესის ადმინისტრირების/მართვის სფეროში არანაკლებ 5 წელი.**<br>➢ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა გაიაროს **გასაუბრება** პროგრამაში მონაწილე პროფესორებთან დადგენილი წესის მიხედვით.[1]<br><br>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა **უცხო ქვეყნის** აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში დადგენილი წესით. |
| **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი** | ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამის მიზანია:<br><br>➢ მოამზადოს კადრები, რომლებიც გაიღრმავებენ შესაბამის ცოდნას და უნარებს, რომელიც საჭიროა თანამედროვე ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერებისათვის;<br>➢ საჭირო უნარებისა და ცოდნის განვითარებით ხელს შეუწყობენ ორგანიზაციის დინამიურ და ჰარმონიულ განვითარებას;<br>ბაზრის საჭიროებებსა და გამოწვევებზე რეაგირების მქონე კადრის |

[1] გასაუბრების წესი მტკიცდება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მიერ შესაბამისი კათედრის წარდგინებით. გასაუბრების მიზანია დაადგინოს პირის მოტივაცია და დარგობრივი ცოდნის დონე.

| | |
|---|---|
| | მომზადება, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა მართვას თანამედროვე მეთოდებით, დაეფუძნება მრავალმხრივ თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, კვლევებსა და შემოქმედებით მუშაობას, რომლითაც მოახდენენ პრაქტიკული საქმიანობის სრულყოფას. |
| **სწავლის შედეგები** | **პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:**<br>**ცოდნა და გაცნობიერება**<br>• **შეიმუშავებს** კრეატიული და ანალიტიკური აზროვნებით, ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარების გეგმას;<br>• **უზრუნველყოფს** რეკრუტინგის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბებას, თანამშრომელთა შენარჩუნებისა და ზრდისთვის;<br>• **განსაზღვრავს** დროსა და სივრცეში ორგანიზაციისათვის საჭირო პროექტებს უახლესი კვლევის მეთოდების გამოყენებით.<br>**უნარი**<br>• **არჩევს** რეკრუტინგის პროცესში იმგვარ კადრს, რომელიც ბუნებრივად თავსებადია კომპანიის კულტურასა და ძირეულ ფასეულობებთან;<br>• **შეიმუშავებს** მართვის ნებისმიერი საფეხურისთვის დიფერენცირებული მიდგომის წესებს, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შესასრულებელი საქმიანობის ძირითადი კომპეტენციები;<br>• **უზრუნველყოფს** ბაზრის შესწავლის საფუძველზე თანამედროვე პიარ ტექნოლოგიების დახმარებით ტალანტების მოზიდვასა და შენარჩუნებას;<br>**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**<br>• **შეიმუშავებს** ორგანიზაციის წევრთა კარიერული მართვის სისტემას საჭირო ტრენინგებით;<br>• **ახორციელებს** ინოვაციურ იდეებს, ტალანტების არა მხოლოდ მოზიდვის არამედ დამაგრების პროცესში. |
| **სწავლის მეთოდები** | ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამით სტუდენტების სწავლებისას, ტრადიციულ ლექციებთან ერთად, გამოიყენება პრაქტიკული და სემინარული მეცადინეობები, პრეზენტაციები და სწავლების სხვა აქტიური მეთოდები. მეცადინეობები ჩატარდება სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა ტესტირება, პრაქტიკული სავარჯიშოებისა და სიტუაციური ამოცანების (ქეისების) განხილვა, დისკუსია–სემინარების ჩატარება, საპრეზენტაციო პროექტების მომზადება, |

| | |
|---|---|
| | აგრეთვე საკონსულტაციო და დამოუკიდებელი მუშაობა. პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისათვის გამოყენებული იქნება სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა მეთოდი, როგორიცაა ვერბალური, წიგნზე მუშაობის, დისკუსიის, დებატების, დემონსტრირების, ინდუქციის, დედუქციის და სხვ.<br>სწავლა/სწავლების მეთოდები:<br>• **ვერბალური** - ზეპირსიტყვიერი;<br>• **წიგნზე მუშაობის** - სახელმძღვანელოდან თანამედროვე ინფორმაციის გაცნობა და სიტუაციების მომზადება.<br>• **დემონსტრირების** - ინფორმაციის ვიზუალური წარდგენა. სასწავლო მასალის დემონსტრირება მოხდება სლაიდებით და დაფის გამოყენებით;<br>• **პრაქტიკული მეთოდები** - უზრუნველყოფს პრაქტიკულ უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ამოხსნილი იქნება ქეის-სთადები და პრაქტიკული სავარჯიშო;<br>• **ახსნა განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მყარ არგუმენტებზე დაფუძნებულ მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. დაწვრილებით განხილული იქნება კონკრეტული მაგალითი;<br>• **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია;<br>• **შემთხვევის ანალიზი (Case study)** - განხილული იქნება კონკრეტული სიტუაციები (შემთხვევები) და გაკეთდება მათი დეტალური ანალიზი.<br>• **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიური სწავლების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს; საშუალებას აძლევს მოახდინოს კონფლიქტოგენების თავიდან აცილება.<br><br>**ჯგუფური** (collaborative) **მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული |

| | |
|---|---|
| | ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. |
| **შეფასების სისტემა** | **შეფასების სისტემა უშვებს:**<br>ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:<br>(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;<br>(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;<br>(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;<br>(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;<br>(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების<br><br>ორი სახის უარყოფითი შეფასება:<br>(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.<br><br>საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე, რომელიც ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.<br><br>მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში - შემაჯამებელი პროექტი - (FX) (ვერ ჩააბარა) შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი - შემაჯამებელი პროექტი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო - (F) (ჩაიჭრა) შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი - შემაჯამებელი პროექტი კომპონენტის წარდგენის უფლებას. |
| **დასაქმების სფერიები** | ადამიანური რესურსების მართვის მაგისტრს შეუძლია იმუშაოს უმაღლეს სასწავლებელსა და სამეცნიერო -კვლევით დაწესებულებაში, საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერის თანამდებობაზე.<br>დასაქმების სფეროს, ასევე, განეკუთვნება ეკონომიკისა და ბიზნესის |

| | |
|---|---|
| | სხვადასხვა დარგის ნებისმიერი სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კომერციული ორგანიზაციები (კერძო, სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოები), ასევე, არაკომერციული ორგანიზაციები. |
| **სწავლის საფასური ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის** | სწავლის საფასური შეადგენს 2250 ლარს საქართველოს მოქალაქეებისათვის სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმების მიხედვით |
| **პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი** | პროგრამა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შესაბამისად პროგრამა უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალით, ასევე, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით.<br>სტუდენტთა განკარგულებაშია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის (თსუ, X - მაღლივი კორპუსი) მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და არსებული რესურსები, მათ შორის: ბიბლიოთეკა, საპრეზენტაციო პროექტორით აღჭურვილი აუდიტორიები, კომპიუტერული ლაბორატორიები, რესურს-ცენტრები, სტუდენტთა მომსახურების ცენტრი და სხვ. სტუდენტთათვის გათვალისწინებულია შესაბამისი რაოდენობით კომპიუტერული ტექნიკა. |
| **პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა** | პროგრამა უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალით, ასევე, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. პროგრამის ფინანსურ მდგრადობას განსაზღვრავს ფაკულტეტისა და პროგრამის ბიუჯეტი. |
| **დამატებითი ინფორმაცია საჭიროების შემთხვევაში** | |

## პროგრამის სტრუქტურა

**ფაკულტეტი: ეკონომიკა და ბიზნესი**

**ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება:** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრა

**პროგრამის სახელწოდება:** ერთწლიანი სამაგისტრო პროგრამა, **ადამიანური რესურსების მართვა**

**სწავლების საფეხური:** მაგისტრატურა (EMBA)

**კრედიტების რაოდენობა:** 60 ECTS

**სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები:** პროფესორი ასოცირებული პროფესორი **ნატალია ხარაძე**; ასოცირებული პროფესორი **ნუგზარ პაიჭაძე.**

**აკადემიური საბჭოს მიერ პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი:** *თსუ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 21 ივნისის* ***დადგენილება N: 49/2021;*** *https://tsu.ge/ka/legalakad/42226 (დანართი 302)*

**პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი):** 2023-2024

**აკრედიტაციის მინიჭების თარიღი:** საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 13 დეკემბრის № 1609901 გადაწყვეტილება https://eqe.ge/ka/decisions/13487/show

| № | სასწავლო კურსის დასახელება | სასწავლო კურსის სტატუსი: სავალდებულო, არჩევითი | ECTS | სტუდენტის საათობრივი დატვირთვა | | | | სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა | კრედიტების განაწილება | | ავტორი / ავტორები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | საკონტაქტო | | დამოუკიდებელი | სულ | | სემესტრები | | |
| | | | | ლექცია | სემინარი/ პრაქტიკული | | | | 1 | 2 | |
| **პროგრამისთვის სავალდებულო სასწავლო კურსები - სულ 50 კრედიტი, მათ შორის 10 კრედიტი საკურსო პროექტი** | | | | | | | | | | | |
| 1 | ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკა | სავალდებული | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | 5 | | ნუგზარ პაიჭაძე<br>მირონ ტუღუში<br>ნატალია ხატაძე |
| 2 | ორგანიზაციული ქცევა გლობალურ გარემოში | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | 5 | ნინო ფარესაშვილი |
| 3 | შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | 5 | | თამარ ტურაშვილი<br>თინათინ ძოწენიძე |
| 4 | შრომისა და დასაქმების სამართალი | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | 5 | ეკატერინე ქარდავა |
| 5 | პერფორმანს მენეჯმენტი გლობალურ გარემოში | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | 5 | | ნინო ფარესაშვილი |
| 6 | ტალანტების მართვა ორგანიზაციაში | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | 5 | | ნატალია ხარაძე<br>დ. ფირცხალაიშვილი |
| **სულ: 30 კრედიტი** | | | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **პროგრამისთის არჩევითი სასწავლო კურსები - სულ 20 კრედიტი** | | | | | | | | | | | |
| 1 | რეკრუტინგი და დაჯილდოების მენეჯმენტი | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | 10 | | ნატალია ხარაძე<br>დ. ფირცხალაიშვილი |
| 2 | კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების მართვა | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | ნინო ფარესაშვილი |
| 3 | ლიდერობა | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | ნატალია ხარაძე |
| 4 | ოფისის მენეჯმენტი და საქმისწარმოება | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | მირონ ტუღუში<br>თამარ ღამბაშიძე |
| 5 | მენეჯმენტი გლობალურ გარემოში | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | გიორგი ღაღანიძე<br>გელა გრიგოლაშვილი |
| 6 | ბიზნეს პროცესების მენეჯმენტი | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | 10 | ბადრი რამიშვილი |
| 7 | ლიდერობა და ემოციური ინტელექტი | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | ნატალია ხარაძე<br>დ. ფირცხალაიშვილი |
| 8 | ორგანიზაციული ცვლილებების მენეჯმენტი | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | გიორგი ღაღანიძე<br>თამარ ღამბაშიძე |
| 9 | შრომის ბაზრის რეგულირება გლობალიზაციის პირობებში | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | მირონ ტუღუში<br>მურმან ცარციძე |
| 10 | მონაცემთა კვლევა და ანალიზი SPSS-ის საშუალებით | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | მზია ტიკიშვილი |

**შემაჯამებელი პროექტი - 10 კრედიტი (სრულდება მეორე სემესტრში).**

**შემაჯამებელი პროექტის დაცვა შესაძლებელია, თუ მაგისტრანტს დაგროვებული აქვს 50 კრედიტი, მათ შორის: 30 კრედიტი - სავალდებულო სასწავლო კურსები, 20 კრედიტი - არჩევითი სასწავლო კურსები.**

**სულ: 60 კრედიტი**